

ნორიოს ნავთობის კომპანია“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ქართული ლარი

სააქციო საზოგადოება
„ნორიოს ნავთობის კომპანია“

ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2021

შინაარსი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	4

ნორიოს ნავთობის კომპანია“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ქართული ლარი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდის წინა პერიოდი
ნეტო ამონაგები		1,040,809	742,583
მომსახურების გაწევიდან	1	1,040,809	742,583
შემოსავალთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	2	(89,510)	(81,328)
საერთო მოგება		951,299	661,254
სხვა შემოსავალი	3	154,880	428,294
დასაქმებულთა ანაზღაურება	4	(1,128,322)	(1,162,917)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(421,288)	(416,978)
საპროცენტო შემოსავალი:	6	112,216	117,620
საპროცენტო ხარჯი :	7	(548)	(6,553)
იჯარის ხარჯი	8	(18,786)	(123,479)
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(114,014)	(167,165)
სხვა ხარჯი	10	(30)	(405,693)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,415,893)	(1,736,872)
საოპერაციო მოგება		(464,594)	(1,075,617)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	11	205,171	341,971
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება/ზარალი			
წმინდა		-	160
მოგება დაგეგმვამდე		(259,423)	(733,486)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(34,673)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
დივიდენდი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(259,423)	(768,159)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 10 მარტს

დირექტორი

ვახტანგ საყვარელიძე



ნორიოს ნავთობის კომპანია“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ქართული ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	131,377	367,259	1,255,977
სავაჭრო მოთხოვნები	13	2,100,466	1,819,413	1,644,136
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	14	4,692	-	25
მარაგები		235,730	231,373	235,465
- მზა პროდუქცია		-	-	-
- მასალები	15	235,730	231,373	235,465
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,472,265	2,418,046	3,135,603
გრძელვადიანი აქტივები				
გაცემული სესხები	16	1,684,089	1,657,656	1,472,259
ინვესტიციები სხვა საწარმოში	17	6,168,482	6,168,482	6,168,482
სხვა არამატერიალური აქტივები	18	206	230	3,065
ძირითადი საშუალებები	18	4,355,019	4,772,210	5,142,508
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,207,795	12,598,577	12,786,314
სულ აქტივები		14,680,060	15,016,623	15,921,917
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	19	(422)	(341,335)	(374,028)
საგადასახადო ვალდებულებები	20	(20)	(91)	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(442)	(341,425)	(374,028)
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	21	(263,844)	-	(104,533)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(263,844)	-	(104,533)
სულ ვალდებულებები		(264,286)	(341,425)	(478,561)
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი	22	(17,916,399)	(17,916,399)	(17,916,399)
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,500,625	3,241,202	2,473,043
სულ საკუთარი კაპიტალი		(14,415,774)	(14,675,198)	(15,443,356)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		(14,680,060)	(15,016,623)	(15,921,917)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 10 მარტს

დირექტორი

ვახტანგ საყვარელიძე



ნორიოს ნავთობის კომპანია“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ქართული ლარი

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
	17,916,399	(2,473,043)	15,443,356
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	(768,159)	(768,159)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	17,916,399	(3,241,202)	14,675,197
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(259,423)	(259,423)
დივიდენდი			-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	17,916,399	(3,500,625)	14,415,775

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 10 მარტს

დირექტორი
ვახტანგ საყავრელიძე



1.1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „ნორიოს ნავთობის კომპანია“ დაფუძნებულია 2008 წლის 25 იანვარს. კომპანია დარეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

თავდაპირველად კომპანიის სამართლებრივ ფორმას წამოადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო 2008 წლის 14 ნოემბერს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.

კომპანიის საქმიანობა არის ნავთობკომპანიებისთვის მომსახურების გაწევა, ისეთი როგორიცაა ბურღვითი სამუშაოები, ჰაბურღილის კაპიტალური რემონტის სამუშაოები, ასევე სხვადასხვა მანქანა დანადგარების და უძრავი ქონების იჯარა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კოსტავას ქ., №70.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 19 თანამშრომელი (2020:18).

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

აქციონერთა დასახელება	აქციათა რაოდენობა
ირაკლი თავდუმაძე	16
მიხეილ ნიბლაძე	28
ირინა არაბული	9
სოლომონ ცაბაძე	8
ნიკოლოზ თევზაძე	403
რევაზ თევზაძე	16
მალხაზ სვანიძე	5
მარიამ გუჯეჯიანი	5
პაატა წერეთელი	199
მამუკა ხარაბაძე	5
ვახტანგ საყვარელიძე	32
ალექსანდრე ჭიჭინაძე	16
ნატალია შველიძე	16
შპს ქართულ ბრიტანული ნავთობის კომპანია	8
ზაზა თევზაძე	51
შპს ქემბრეი ლიმიტედი	286
ნორიო ოილ ენდ გეზ ეს.ეი.	1090
შპს კბ პეტროლიუმი	230
შპს კოლეგიუმი	242
	2,665

აქციონერები ახორციელებენ კომპანიის ერთობლივ კონტროლს.

1.2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მს“) შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენისას, კლასიფიკაციას ახდენს ხარჯების ბუნებიდან გამომდინარე. კომპანიას სჯერა, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწვდის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი
	აშშ
	დოლარი
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.2766

ფინანსური ინსტრუმენტები

მიღებული სესხები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხები

აღირიცხება პერიოდის განმავლობაში გაწერული ხარჯის მიხედვით და მიეკუთვნება იმ პერიოდს როდესაც მოხდა ხარჯის გაწევა.

სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს აქტივებს, რომელთა გადაცვლა ფულზე წინასწარ ცნობილი ოდენობით შესაძლებელია დაუბრკოლებლად და ამასთან, მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოთხოვნების დარეზერვების გაანგარიშების ცხრილი გამოიყურება შედეგნაირად:

ვადაგადაცილებული დღეები	<30	31-90	91-180	181-360	>361
დარეზერვების პროცენტი	0%	0%	10%	50%	100%

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლები მომსახურების გაწევიდან

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლი სგანსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ იღირებულებით.

საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავალის მუხლში.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

- | | |
|----------------------------|--------|
| • შენობა-ნაგებობები | 2-5% |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10-15% |
| • მანქანა-დანადგარები | 10-15% |
| • ოფისის აღჭურვილობა | 10-15% |
| • სხვადასხვა ინვენტარი | 10-15% |

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება ინდივიდუალური ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან.

1.3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

1. შემოსავლები მომსახურების გაწევიდან

	2021	2020
შემოსავლები ტექნიკის და უძრავი ქონების იჯარიდან	1,040,809	742,583
	1,040,809	742,583

საწარმოს შემოსავლების 90% 2020-2021 საანგარიშო პერიოდებში ძირითადად ფორმირდება თავის საკუთრებაში არსებული ტექნიკისა და უძრავი ქონების მოკლევადიანი იჯარიდან. სხვა შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ასახულია შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

2. შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2021	2020
ძირითადი მასალები	-	(3,048)
საწვავის ხარჯი	(59,173)	(53,144)
სხვა დამხმარე და სათადარიგო მასალები	-	(25,136)
დანადგარების დაზღვევა	(30,337)	-
	(89,510)	(81,328)

3. სხვა შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი სესხის გარანტიის სარგებლობისათვის	154,880	163,830
სადაზღვევო კომპანიიდან დაბრუნებული თანხები	-	4,619
კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა	-	259,845
	154,880	428,294

- კომპანიას შპს „Georgia Oil & Gas Limited” -ის სასარგებლოდ იპოთეკით აქვს დატვირთული თავის საკუთრებაში არსებული საბურღი დანადგარი, რის სანაცვლოდან იღებს საპროცენტო შემოსავალს სესხის გარანტიის სარგებლობისათვის ზემოაღნიშნული კომპანიისაგან.

- კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს სესხიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ დავალიანებას, რომელიც ეპატია კომპანიას კრედიტორის მხრიდან.

4. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2021	2020
ადმინისტრაციის თანამშრომელთა სახელფასო ხარჯი	(1,128,322)	(1,162,917)
	(1,128,322)	(1,162,917)

კომპანიაში 2020-2021 წლებში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 19 პირს. გაცემული სახელფასო ანაზღაურება წარმოადგენს ადმინისტრაციის თანამშრომლების სახელფასო სარგოს.

5. ცვეთა და ამორტიზაცია

	2021	2020
მანქანა-დანადგარები	(360,351)	(360,351)
სხვადასხვა ინვენტარი	(1,995)	(1,995)
შენობა ნაგებობები	(36,561)	(36,561)
სატრანსპორტო საშუალებები	(21,077)	(17,219)
ოფისის აღჭურვილობა	(1,280)	(827)
არამატერიალური აქტივები	(24)	(24)
	(421,288)	(416,979)

6. საპროცენტო შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან	111,050	114,707
შემოსავალი დეპოზიტებიდან	1,166	2,913
	112,216	117,620

საპროცენტო შემოსავლები შედგება იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე და ბანკში განთავსებულ დეპოზიტზე დარიცხული პროცენტისაგან. დეტალური ინფრომაცია გაცემული სესხების შესახებ განთავსებულია ფინანსური მდგომარეობის შესაბამის განმარტებით შენიშვნაში

7. საპროცენტო ხარჯები

	2021	2020
საპროცენტო ხარჯები იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხებზე	(548)	(6,553)
	(548)	(6,553)

8. იჯარის ხარჯი

	2021	2020
ადმინისტრაციული შენობის იჯარის ხარჯი	(8,286)	(112,979)
ტექნიკის იჯარა	(10,500)	(10,500)
	(18,786)	(123,479)

9. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
დანადგარების დაზღვევის ხარჯი	-	(31,710)
რემონტის ხარჯები	-	(4,500)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	-	(4,126)
საკანცელარიო საქონელი	(42)	-
მიწის გადასახადი	(14,471)	(14,471)
კომპიუტერის ხარჯები	(25)	(1,240)
ავტომატის რეცხვა	(2,415)	(1,996)
ავტომატის რემონტი და შენახვა	(9,873)	-
საპენსიო შენატანი	-	(6,760)
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები	(6,085)	(12,442)
ავტომატის დაზღვევა	(20,152)	(27,860)
წარმომადგენლობითი ხარჯები		

ნორიოს ნავთობის კომპანია“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ქართული ლარი

	(337)	-
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	(611)	(3,966)
სწავლების ხარჯები	(2,492)	-
ბანკის ხარჯები	(7,407)	(11)
სხვა ხარჯები	(534)	(8,454)
ქონების გადასახადი	(49,570)	(49,550)
ჯარიმა-საურავი	-	(80)
	(114,014)	(167,165)

10. სხვა ხარჯი

	2021	2020
დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	-	(405,693)
ჯარიმა-საურავი	(30)	-
	(30)	(405,693)

- დებიტორული დავალიანება წარმოადგენს სესხიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ დავალიანებას, რომელიც ეპატია დებიტორს კომპანიის მხრიდან.

11. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2021	2020
დადებითი საკურსო სხვაობა	373,857	541,697
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(168,687)	(199,725)
	205,171	341,971.36

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	2021	2020
ფული ბანკში ლარში	22,961	53,404
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	108,416	313,855

131,377

367,259

2021 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხულმა საპროცენტო სარგებელამ შეადგინა 1,166 ლარი.

13. სავაჭრო მოთხოვნები

	2021	2020
საიჯარო და სხვა მომსახურებით ფორმირებული მოთხოვნები	2,100,466	1,819,413
	2,100,466	1,819,413

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება სპეც ტექნიკის და უძრავი ქონების მოკლევადიანი იჯარით გაცემისაგან წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებისაგან.

კომპანიას არ გააჩნია ვადაგადაცილებული სავაჭრო მოთხოვნები

14. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

	2021	2020
მომწოდებლისთვის ავანსად გადახდილი თანხა	4,692	-
	4,692	-

15 მარაგები

	2021	2020
სპეც ტექნიკის სათადარიგო მასალები	225,704	164,506
დამხმარე მასალები	10,026	66,867
	235,730	231,373

კომპანიის მარაგები შედგება საკუთრებაში არსებული სპეც ტექნიკის სათადარიგო და საექსპლუატაციო მასალებისაგან, რომლებიც 2021 და 2020 წლების ბოლოსათვის არ არის გაუფასურებული.

ნორიოს ნავთობის კომპანია“
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ქართული ლარი

16 გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2020	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	პროცენტის გადახდა	ძირის გადახდა	ნაშთი ლარში
Georgia Oil & Gas Limited- ის ფილიალი საქართველოში	13.12.2018	13.12.2020	9.5%	დოლარი	პერიოდის ბოლოს	პერიოდის ბოლოს	990,236
შპს ინტერსერვისი 2007	24.04.2008	31.12 2021	8%	დოლარი	პერიოდის ბოლოს	პერიოდის ბოლოს	667,420
ჯამი:							1,657,656
მისაღები ძირი:							1,233,864
მისაღები პროცენტი:							423,792
ჯამი:							1,657,656

გაცემული სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2021	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	პროცენტის გადახდა	ძირის გადახდა	ნაშთი ლარში
Georgia Oil & Gas Limited- ის ფილიალი საქართველოში	13.12.2018	13.12.2020	9.5%	დოლარი	პერიოდის ბოლოს	პერიოდის ბოლოს	1,027,182
შპს ინტერსერვისი 2007	24.04.2008	31.12 2021	8%	დოლარი	პერიოდის ბოლოს	პერიოდის ბოლოს	656,907
ჯამი:							1,684,089
მისაღები ძირი:							1,264,052
მისაღები პროცენტი:							420,037
ჯამი:							1,684,089

17 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

	%	2021	2020
ინვესტიცია რეზიდენტ საწარმოში	50	483,843	483,843
ინვესტიცია არარეზიდენტ საწარმოში	41	5,684,639	5,684,639
		6,168,482	6,168,482

ქვემოთ მოცემულია მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები თვითღირებულებით 2020-2021 საანგარიშო პერიოდებში კომპანიას არ მიუღია რაიმე სახის შემოსავალი განხორციელებული ინვესტიციებიდან

ნორიოს ნავთობის კომპანია“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ქართული ლარი

18 ძირითადი საშუალებები

	მიწა	მანქანა- დანადგარები	სხვადასხვა ინვენტარი	შენობა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ჯამი
ლარში							
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	208,307	7,157,221	25,110	1,578,824	272,637	16,450	9,258,549
შესყიდვა					99,204	676	99,880
გასვლა		2,045			123,512	6,699	132,256
გაუფასურება							-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია							-
გადაფასების რეზერვი							-
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	208,307	7,155,176	25,110	1,578,824	248,329	10,427	9,226,173
შესყიდვა						4,073	4,073
გასვლა							-
გაუფასურება							-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია							-
გადაფასების რეზერვი							-
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	208,307	7,155,176	25,110	1,578,824	248,329	14,500	9,230,246
დაგროვილი ცვეთა							
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	3,505,819	11,107	452,217	134,995	11,903	4,116,041
ცვეთის ხარჯი		360,351	1,995	36,561	17,219	827	416,954
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		1,798			71,601	5,633	79,032
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	3,864,373	13,102	488,778	80,613	7,097	4,453,963
ცვეთის ხარჯი		360,351	1,995	36,561	21,077	1,280	421,264
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა							-
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით		4,224,724	15,098	525,339	101,690	8,376	4,875,227
საბალანსო ღირებულება							
2019 წლის ბოლოს	208,308	3,651,401	14,003	1,126,607	137,642	4,547	5,142,508
2020 წლის ბოლოს	208,307	3,290,803	12,008	1,090,046	167,716	3,330	4,772,210
2021 წლის ბოლოს	208,307	2,930,452	10,012	1,053,485	146,639	6,124	4,355,019

არამატერიალური აქტივები

ლარი	
2019 წლის ბოლოს	25,615
შემოსვლა	
გასვლა	25,015
2020 წლის ბოლოს	600
შემოსვლა	
გასვლა	
2021 წლის ბოლოს	600
დაგროვილი ამორტიზაცია	
2019 წლის ბოლოს	22,550
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	24
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	22,205
2020 წლის ბოლოს	369
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	24
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	
2021 წლის ბოლოს	393
საბალანსო რირებულება	
2019 წლის ბოლოს	3,065
2020 წლის ბოლოს	230
2021 წლის ბოლოს	206

19. სავაჭრო ვალდებულებები

	2021	2020
მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები	(422)	(341,335)
	(422)	(341,335)

კომპანიიის სავაჭრო ვალდებულებები შედგება მიმდინარე საოპერაციო საქმიანობისათვის წარმოქმნილი მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებებისაგან

ნორიოს ნავთობის კომპანია“
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ქართული ლარი

20. საგადასახადო ვალდებულებები

	2021	2020
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	(20)	(91)
	(20)	(91)

21. სასესხო ვალდებულებები

მიღებული სესხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2021	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	პროცენტის გადახდა	ძირის გადახდა	ნაშთი ლარში
შპს კოლეგიუმი	23.12.2021	31.12.2022	9.5%	დოლარი	პერიოდის ბოლოს	პერიოდის ბოლოს	263,844
ჯამი:							263,844
გადასახდელი ძირი:							263,296
გადასახდელი პროცენტი:							548
ჯამი:							263,844

22. სააქციო კაპიტალი

ქვემოთ მოცემულია კომპანიის სააქციო კაპიტალის გადანაწილების პროცენტული და თანხობრივი გადანაწილება

	მფლობელობა %			
	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
ირაკლი თავდუმაძე	0.06%	10,917	0.06%	10,917
მიხეილ ნიბლაძე	0.05%	9,583	0.05%	9,583
ირინა არაბული	0.04%	6,441	0.04%	6,441
სოლომონ ცაბაძე	0.03%	5,459	0.03%	5,459
ნიკოლოზ თევზაძე	3.30%	591,040	3.30%	591,040
რევაზ თევზაძე	0.01%	1,450	0.01%	1,450
მალხაზ სვანიძე	0.01%	500	0.01%	500
მარიამ გუჯეჯიანი	0.01%	500	0.01%	500

პაატა წერეთელი	0.76%	136,467	0.76%	136,467
მამუკა ხარაბაძე	0.01%	500	0.01%	500
ვახტანგ საყვარელიძე	0.07%	12,367	0.07%	12,367
ალექსანდრე ჭიჭინაძე	0.06%	10,917	0.06%	10,917
ნატალია შველიძე	0.06%	10,917	0.06%	10,917
შპს ქართულ ბრიტანული ნავთობის კომპანია	0.03%	5,459	0.03%	5,459
ზაზა თევზაძე	0.84%	149,717	0.84%	149,717
შპს ქემბრეი ლიმიტედი	1.10%	196,513	1.10%	196,513
ნორიო ოილ ენდ გეზ ეს.ეი.	70.21%	12,579,636	70.21%	12,579,636
შპა კბ პეტროლიუმი	11.69%	2,094,362	11.69%	2,094,362
შპს კოლგეიუმი	11.69%	2,093,654	11.69%	2,093,654
	100%	17,916,399	100%	17,916,399

23. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მისი მესამე წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად და ფასს-ის 35-ე მუხლის გათვალისწინებით.

24. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

კომპანია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსური რისკებს:

- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა, რომ დამკვეთი მთლიანად არ გადაიხდის შესრულებული სამუშაოს საფასურს ანაწილს არ გადაიხდის დროულად, რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიისათვის ზარალს.

- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას შეიძლება არ გააჩნდეს ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში და, შესაბამისად, შეექმნას სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას. თუმცა, კომპანია დამფუძნებლის სასესხო სახსრებით ახერხებს არსებული და მოსალოდნელი ლიკვიდურობის რისკის მართვას.

-სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენსავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური აქტივები უცხოური ვალუტის მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ვალუტა	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	გაცემული სესხი	სულ
დოლარი (USD)	35,000	189,315	543,675	767,991

ფინანსური ვალდებულებები უცხოური ვალუტის მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ვალუტა	მიღებული სესხი
დოლარი (USD)	85,177

სავალუტო კურსის 10 % იანი გამყარება ფინანსური აქტივების ნაწილში გამოიწვევს 237,893 ლარის შემოსავალს, ხოლო პირიქით, ვალუტის დევალვაცია გამოიწვევს 237,893 ლარის ზარალს.
სავალუტო კურსის 10% იანი გამყარება ფინანსური ვალდებულებების ნაწილში გამოიწვევს 26,384 ლარის ზარალს, ხოლო პირიქით, ვალუტის დევალვაცია გამოიწვევს 26,384 ლარის შემოსავალს.
კომპანიის მენეჯმენტი საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით ახერხებს რისკების მართვას. კომპანიის ოპერაციების სიმარტივიდან გამომდინარე არ არსებობს რისკების მართვისათვის წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2021 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.